თამარ ორჯონიკიძე •

საბჭოთა პერიოდის ასახვა ედუარდ შევარდნაძის პოსტსაბჭოთა იმიჯში (1978 წლის 14 აპრილი)

აბსტრაქტი

ედუარდ შევარდნაძე როგორც საბჭოთა, ისე დამოუკიდებელ საქართველოს მართავდა. შესაბამისად, საქართველოში მისი საქმიანობაც ორგვარად, თანამდებობების შესაბამისად ფასდება - შევარდნაძე, როგორც საბჭოთა საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი და შემდეგ უკვე პირველი პირი და შევარდნაძე, როგორც პოსტსაბჭოთა საქართველოს პრეზიდენტი.

თანამედროვე ეტაპზე ედუარდ შევარდნაძეს ძირითადად იცნობენ მისი საქმიანობით პრეზიდენტობის პერიოდში, თუმცა მისი როგორც კომუნისტი მმართველის შესახებ საბჭოთა კავშირის არსებობის პერიოდში ბევრი მითი ვრცელდებოდა, რომელსაც ხელს უწყობდა როგორც მისი პიროვნული თვისებები, ისე სისტემა - ის სახე უნდა ყოფილიყო წარმატებული საბჭოთა ქვეყნის. იმ პერიოდიდან იღებს სათავეს მითები, რომლებიც გამყარებულია რამდენიმე კონკრეტული ფაქტით. ეს მითები არ გამქრალა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგაც და თანამედროვე საქართველოშიც აგრძელებს არსებობას. ამისათვის ერთ-ერთი ხელისშემწყობი ფაქტორი დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ გამოცემული ისტორიის სასკოლო სახელმძღვანელოებია, რომლებიც, როგორც კვლევით გამოიკვეთა, შევარდნაძეს წარმოადგენენ როგორც გაბედულ, მოქნილ, ტაქტიან პოლიტიკოსად. ამის დასადასტურებლად კი ერთ-ერთი უმთავრესი ფაქტი 1978 წლის აპრილში, ქართული ენის დასაცავად მოწყობილი დემონსტრაციების პერიოდში საქართველოს კომპარტიის ცკ პირველი მდივნის ქმედებებია.

• პოლიტიკის მეცნიერების დოქტორი. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტოლოგიის ინსტიტუტის მკვლევარი

ნაშრომის მიზანია დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ გამოქვეყნებული ისტორიის სასკოლო სახელმძღვანელოების შესწავლა, სადაც მოცემულია 1978 წლის აპრილის მოვლენები და შევარდნაძის როლი.

კვლევაში შესწავლილ სახელმძღვანელოებში ედუარდ შევარდნაძე ორი როლითაა წარმოდგენილი 1978 წლის აპრილში განვითარებული მოვლენების განხილვისას - ავტორები განსხვავებულად წარმოაჩენენ მის მონაწილეობას თბილისში მიმდინარე პროცესებში. სახელმძღვანელოთა ნაწილი შევარდნაძეს მთავარ როლს აკისრებს სისხლისღვრის თავიდან არიდებაში, მეორე ნაწილში კი ის უბრალოდ მოსკოვის გადაწყვეტილებას აცნობს მთავრობის სასახლის წინ შეკრებილ საზოგადოებას.

საკვანძო სიტყვები: ედუარდ შევარდნაძე; 1978 წლის 14 აპრილი. ლიდერის იმიჯი.

შესავალი

საბჭოთა კავშირის არსებობის პერიოდში ხშირად იქმნებოდა და ვრცელდებოდა კონკრეტული მითები რომელიმე მოვლენის ან განსაკუთრებით პოლიტიკური ლიდერის შესახებ. ეს პროცესი ძირითადად დაკავშირებული იყო პოლიტიკურ მიზანთან და ეხმარებოდა ხელისუფლებას საკუთარი პოზიციის განმტკიცებაში. ედუარდ შევარდნაძის შესახებაც აქტიურად ვრცელდებოდა მითები და ამას ხელს უწყობდა თავად შევარდნაძის ფიგურა. განსაკუთრებით პოპულარული იყო რამდენიმე მიმართულება, რომელთა მიხედვითაც ყალიბდებოდა მისი იმიჯი, როგორც - „კორუფციასთან მებრძოლი“ და „გაბედული, ტაქტიანი, ალღოიანი“ ლიდერი. ეს უკანასკნელი არა მხოლოდ საბჭოთა, არამედ პოსტსაბჭოთა საქართველოშც აქტიურად გამოიყენებოდა და ამყარებდა დამოუკიდებელ საქართველოში დაბრუნებული შევარდნაძის იმიჯს.

„კორუფციასთან მებრძოლი“ შევარდნაძე მის საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრობას უკავშირდებოდა და გაღრმავდა

მის მიერ საბჭოთა საქართველოს ხელმძღვანელობის დროს. მის მიერ გამოცხადებული ბრძოლა „ნეგატიური მოვლენების“ წინააღმდეგ ქმნიდა მკაცრი, კანონდარღვევასთან შეურიგებელი ლიდერის იმიჯს. 1977 (ფეხბურთთან დაკავშირებული ინციდენტი) და 1978 წლის (ქართული ენის დაცვა) მოვლენების შემდეგ კი შევარდნაძე საზოგადოებაში წარმოჩინდა როგორც მოქნილი, გამბედავი ხელმძღვანელი, რომელმაც თავიდან აირიდა სისხლისღვრა.

1977 წელს თბილისში „დინამოს“ სტადიონზე განვითარებული მოვლენები შევარდნაძის სიმამაცის დასატასტურებლად ხშირად გამოიყენება ხოლმე. მსაჯის შეცდომების გამო აღშფოთებული მაყურებლები მინდორზე შეიჭრნენ და არბიტრის დასჯა სურდათ. მსაჯი გაარიდეს ადგილს, თუმცა როგორც თავად შევარდნაძე აღწერს საკუთარ მემუარებში, შემდეგ ხალხმა ქვების სროლა სამართალდამცველებისა და სამთავრობო ტრიბუნის მიმართულებით დაიწყო. როგორც შევარდნაძე იგონებს, მეგაფონით რამდენჯერმე უშედეგო მიმართვის შემდეგ, „საჭირო იყო შოკისმომგვრელი მოქმედება. იძულებული ვიყავი ტრიბუნიდან პირდაპირ ხალხში გავსულიყავი“ (შევარდნაძე, 2018. გვ. 79). მემუარებისვე მიხედვით, ხალხისადმი მიმართვამ - „ხომ ხედავთ, თქვენთან ვარ, მსაჯებს კი ჩვენ მოვუვლით“, სიტუაცია გარკვეულწილად განმუხტა, მინდვრიდან გარეთ გაყვნენ შევარდნაძეს და საბოლოოდ დაიშალნენ. იქვე აღნიშნულია, რომ „იმ დღეს სტადიონზე დიდი სისხლის ღვრა ავიცილეთ თავიდან, რადგან ვიცოდი, რომ „საქმეში ჩასარევად“ უკვე ემზადებოდნენ“ (შევარდნაძე, 2018. გვ. 79). შევარდნაძე ამბის თხრობის პარალელურად, საკუთარ თავს წარმოაჩენს, როგორც უბედურების თავიდან არიდების მთავარ შემოქმედს.

1977 წელს საბჭოთა კავშირმა კონსტიტუცია მიიღო. ერთი წლის შემდეგ მოკავშირე სახელმწიფოებსაც უნდა მიეღოთ კონსტიტუცია. მოსკოვის გადაწყვეტილებით ადგილობრივ ენებს სახელმწიფო ენის სტატუსი ერთმეოდათ. საქართველოში ამას ვნებათაღელვა მოჰყვა. 14 აპრილს საზოგადოების ნაწილმა მსვლელობა გა-

მართა თსუ-დან უმაღლესი საბჭოს შენობისაკენ. მოვლენები თან-დათან საქართველოს ხელისუფლებისათვის უმართავი ხდებოდა და შევარდნაძე, როგორც ქვეყნის მეთაური, უმაღლესი საბჭოს შე-ნობის წინ ხალხის დასაშოშმინებლად გავიდა. მოსკოვს დათმობა მოუწია, ქართულ ენას სტატუსი შეუნარჩუნდა და სისხლისღვრის თავიდან არიდება შევარდნაძის სახელს დაუკავშირდა. აღნიშნულ-მა მოვლენამ წარმოაჩინა შევარდნაძე, როგორც ერთი მხრივ გაბე-დული და მეორე მხრივ მოქნილი პოლიტიკური ფიგურა. მსგავსი იმიჯი კი მომგებიანი იყო როგორც საბჭოთა, ისე დამოუკიდებელ საქართველოში. ამ თემაზე, ისე, როგორც სტადიონთან დაკავშირე-ბულ ინციდენტზეც ბევრს წერს ამბის მთავარი გმირი საკუთარ მე-მუარებში და ამჯერადაც იგი გამოყვანილია შეუპოვარ, მამაც, სა-ქართველოს ინტერესზე მზრუნველ პოლიტიკურ ფიგურად, რო-მელმაც წინააღმდეგობა გაუწია მოსკოვს, დაათმობინა და დაიცვა ქართული ენა. აღნიშნულ საკითხს შევარდნაძე „მასშტაბური კონფ-ლიქტის დროულად, გონივრულად და გაბედულად გადაჭრის მა-გალითად“ ხოლო საკუთარ თავს „მოვლენების მონაწილესა“ და „გარკვეულწილად, წარმმართველსაც“ უწოდებს (შევარდნაძე, 2018. გვ. 83-84). ნაშრომში ავტორი დეტალურად აღწერს შეხვედრებს, რომლებიც მოსკოვში გამართა მაღალი თანამდებობის პირებთან იმ ერთადერთი მიზნით, რომ როგორმე დაეყოლიებინა და ქართულ ენასთან დაკავშირებით კონსტიტუციაში ცვლილებები არ შესული-ყო. აქვე დამატებულია, რომ მხოლოდ მისი რამდენიმე, დაჟინე-ბული მცდელობით მიაქცია საქართველოს ლიტერატურული თუ სამეცნიერო წრეების წარმომადგენლებმა და შემდეგ ახალგაზრდო-ბამაც ყურადღება კონსტიტუციის პროექტში ენასთან დაკავშირე-ბულ საკითხს. მისივე განმარტებით, ახალი კონსტიტუციის პრო-ექტს ყველა ფარატინა ქაღალდად მიიჩნევდა და არავის აინტერე-სებდა, შესაბამისად, შეუმჩნეველი რჩებოდა უმნიშვნელოვანესი პუნქტი. შევარდნაძე აღნიშნავს, რომ იმის მიუხედავად, თავადაც ემუქრებოდა ცენტრიდან საფრთხე (დაბარება, თანამდებობიდან

გადაყენება...), არ შეშინდა და ქვეყნის ინტერესი პირველ ადგილას დააყენა. დეტალურად აღწერს კონკრეტულად 14 აპრილის მოვლენებს, აღნიშნავს მოსკოვის მზაობას ძალის გამოყენების შესახებ და შესაბამის მობილიზაციას, იქვე ზუსტებს, რომ „ნებისმიერ შედეგზე, სისხლიანსა თუ უსისხლოზე, თუმცა ტყვიის სროლას არავინ შემეკითხებოდა, პასუხისმგებელი მე ვიყავი (შევარდნაძე, 2018. გვ. 90). საბოლოო გადაწყვეტილების გამოცხადებას ნაშრომის ავტორი შემდეგნაირად აღწერს: „ბოლოს ვთქვი, რომ ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრებმა ვითათბირეთ (არავითარი თათბირი არ ყოფილა) და მივიღეთ გადაწყვეტილება, „ქართული ენა ინარჩუნებს სახელმწიფო ენის სტატუსს“ (შევარდნაძე, 2018. გვ. 90). იქვე ხაზგასმით აღნიშნავს, რო „ეს იყო ნამდვილი ბრძლა და აქ პასუხისმგებლობა ერთ კაცს უნდა აეღო თავის თავზე“ - მისი მემუარების მიხედვით ეს კაცი თავად ედუარდ შევარდნაძე აღმოჩნდა. მან გაბედა, ჯერ მანამდე მოსკოვში და შემდეგ უკვე თბილისში წინააღმდეგობის გაწევა ცენტრისათვის და შესაბამისი გადაწყვეტილება უკანდახევის გარეშე, ბოლომდე გაიტანა.

აღსანიშნავია, რომ საქართველოში განვითარებულ მოვლენებს გამოხმაურება მოჰყვა დასავლურ პრესაშიც, თუმცა გარკვეული ფაქტები შევარდნაძისგან მემუარებისგან განსხვავებულადაა წარმოდგენილი. კერძოდ, 15 აპრილს New York Times-მა გამოაქვეყნა სტატია სათაურით „საბჭოთა ქართველები ქუჩებში გავიდნენ საკუთარი სახელმწიფო ენის გადასარჩენად“, რომელშიც აღნიშნულია, რომ მომიტინგეთა რაოდენობა დაახლოებით 20,000 იყო. სტატიაში, ასევე, წერია, რომ წინა ღამით უცნობმა მამაკაცმა დარეკა New York Times-ის მოსკოვის ბიუროში და მათ უთხრა: „ენასთან დაკავშირებით, კონსტიტუციის საწინააღმდეგოდ დემონსტრაციას ვმართავთ - გაგვიმართლებს, თუ არ გვესვრიან“. ასევე, New York Times-მა 18 აპრილს გამოაქვეყნა კიდევ ერთი სტატია „საბჭოთა ქართველებმა გაიმარჯვეს ენის საკითხზე“, რომელშიც ნათქვამია, რომ

საბჭოთა ხელისუფლება მისთვის უჩვეულო დათმობაზე წავიდა და ქართულ ენას სახელმწიფო ენის სტატუსი შეუნარჩუნა.

აღსანიშნავია ასევე, The Times-ის 17 აპრილის სტატიის მიხედვით, ორი ამერიკელი იურისტი - რობერ მაკკეი და ერიკ რაიმენი, რომლებიც იმ დროს თბილისში იმყოფებოდნენ, იუწყებოდნენ, რომ ქართველმა დემონსტრანტებმა საქართველოს კომუნისტური პარტიის პირველ მდივანს, ედუარდ შევარდნაძეს დაუყვირეს, როდესაც ის მომიტინგეების დამშვიდებას ცდილობდა. როგორც სტატიაშია აღნიშნული, მაკკეი და რაიმენი დემონსტრაციის თვითმხილველებს ესაუბრნენ. მათ მიერ მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით, შევარდნაძემ მომიტინგეებს ამ ტექსტით მიმართა: „ჩემო შვილებო, რას აკეთებთ?“, რაზეც მომიტინგეებმა ყვირილით უპასუხეს: „ჩვენ შენი შვილები არ ვართ!“ (ქარცივაძე და ვაჭარაძე, 2020).

ზემოთ განხილული ორივე შემთხვევა საქართველოს სსრ პირველ პირს წარმოაჩენდა როგორც გამბედავ და ამავდროულად მოქნილ პოლიტიკოსს, რომელიც მოსკოვთან ბედავდა დაპირისპირებას საქართველოსა და ქართველი ხალხის ინტერესების დასაცავად. ედუარდ შევარდნაძე მართლაც ფლობდა პოლიტიკურ ალღოს, მოქნილობას და გამბედაობასაც და ამის თქმის საშუალებას მისი უკვე დამოუკიდებელ საქართველოში პრეზიდენტობაც იძლევა, როდესაც ფრთხილი ნაბიჯებით ქვეყანამ დასავლური კურსი აიღო და გარკვეულწილად დაუპირისპირდა კიდეც რუსეთის ფედერაციას[1]. თუმცა ორივე, ზემოთგანხილული მოვლენა გამოიყენებოდა პოლიტიკური მიზნისათვის შევარდნაძის გარშემო მითების გასავრცელებლად. აღნიშნული მითები კვლავაც არსებობს და მოსახლეობის გარკვეულ ნაწილში განსაზღვრავს შევარდნაძის ფიგურას.

[1] საქართველოს მონაწილეობით ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის მშენებლობის დეკლარაციას სწორედ შევარდნაძემ მოაწერა ხელი 1998 წელს. მშენებლობაც მისი პრეზიდენტობისას დაიწყო. ნავთობსადენი რუსეთისგან დამოუკიდებლად იძლევა ნავთობის ტრანსპორტირების საშუალებას.

1978 წლის 14 აპრილი ისტორიის სასკოლო სახელმძღვანელოებში

პოსტსაბჭოთა პერიოდში 1978 წლის აპრილის მოვლენების განხილვას თითქმის მუდამ სდევდა თან შევარდნაძის ფიგურა და პირიქით - შევარდნაძეზე საუბრისას აუცილებლად ახსენებდნენ ხოლმე აპრილის მოვლენებს. ეს კი ისტორიის სასკოლო სახელმძღვანელოებშიც შესამჩნევი გახდა. თუმცა აღსანიშნავია, რომ კვლევაში პოსტსაბჭოთა პერიოდში გამოქვეყნებული ისტორიის ყველა სახელმძღვანელო არ ახსენებს შევარდნაძეს 1978 წლის აპრილში მიმდინარე მოვლენების განხილვისას.

პოსტსაბჭოთა ისტორიის სასკოლო სახელმძღვანელოებში 1978 წლის 14 აპრილზე საუბარი ეროვნული მოძრაობის (XX საუკუნის 70-80-იანი წლები) განხილვისასაა. სადაც მიმდინარე მოვლენებთან ერთად შევარდნაძის როლია წარმოჩენილი. მაგრამ გასათვალისწინებელია, რომ ყველა სახელმძღვანელო არ ასახელებს შევარდნაძეს მთავარ მოქმედ პირად[2]. მის მიერ მემუარებში აღნიშნული დეტალი კი იმის შესახებ, რომ მან პირველმა შენიშნა და ცდილობდა სხვათა ყურადღების გამახვილებასაც ქართული ენის როგორც სახელმწიფო ენის სტატუსის გაუქმების შესახებ, არსადაა აღნიშნული. შესაძლებელია გამოიყოს რამდენიმე მიმართულება, რაზეც სახელმძღვანელოთა ავტორები ყურადღებას ამახვილებენ და რა როლსაც შევარდნაძეს აკისრებენ:

ა) შევარდნაძე, როგორც შუამავალი თბილისსა და მოსკოვს შორის;

ბ) შევარდნაძე, როგორც მხოლოდ მოსკოვის საბოლოო გადაწყვეტილების გამხმოვანებელი თბილისში.

[2] კვლევაში შესწავლილ სახელმძღვანელოთა ნაწილში აკაკი ბაქრაძის როლია გამოკვეთილი ქართული ენის დაცვისათვის საზოგადოების დარაზმვის მიმართულებით.

შევარდნაძე, როგორც შუამავალი თბილისსა და მოსკოვს შორის

შუამავალი შევარდნაძე სახელმძღვანელოებში მთავარ პირად არი წარმოდგენილი თბილისისა და მოსკოვის ურთიერთობის განხილვისას; თუმცა განსხვავებულია სახელმძღვანელოთა ავტორების შეფასებები მისი როლის შესახებ პრობლემის საბოლოო გადაწყვეტაში. 2008 წელს გამოქვეყნებული ისტორიის სახელმძღვანელო მოსწავლეებს აწვდის ინფორმაციას 1978 წლის აპრილში საქართველოში განვითარებული მოვლენების შესახებ; აღნიშნულია უნივერსიტეტის და სტუდენტების აქტიური მონაწილეობა პროტესტის ორგანიზების, პროკლამაციების გავრცელებისა თუ დემონსტრაციების მოწყობის მიმართულებით; ასევე ყურადღებაა გამახვილებული პოტენციურ საფრთხეზე და ხაზგასმულია, რომ „ხელისუფლებას არმია მზად ჰყავდა. ვითარება განიმუხტა მას შემდეგ, რაც ე. შევარდნაძემ საქართველოს კომუნისტური პარტიის ცკ-ის პირველმა მდივანმა მოსკოვის ცენტრალური ხელისუფლების წამომადგენლები საქართველოს კონსტიტუციაში აღნიშნული მუხლის დატოვების აუცილებლობაში დაარწმუნა (ახმეტელი, მურღულია, 2008. გვ. 267/268). აღსანიშნავია, რომ ერთი წლის შემდეგ გამოცემულ მე-9 კლასის საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოში ზუსტადაა გამეორებული აღნიშნული ჩანაწერი (ახმეტელი, 2009. გვ. 327).

უფრო გამოკვეთილია შევარდნაძის როლი (რესპუბლიკის პოლიტიკურ ხელმძღვანელობასთან ერთად) 2002 წელს მერაბ ვაჩნაძისა და ვახტანგ გურულის ავტორობით გამოქვეყნებულ მე-11 კლასის სახელმძღვანელოში. ხაზგასმულია პროტესტში ახალგაზრდების, სტუდენტობის ჩართულობა და აღნიშნულია, რომ „ედუარდ შევარდნაძემ უაღრესად რთულ ვითარებაში დიდი პოლიტიკური ტაქტი და პასუხისმგებლობა გამოიჩინა. იგი მოსკოვს მდგომარეობის სირთულეს უხსნიდა და მის გადაწყვტილებას ელოდა. გამორიცხული არ იყო საბჭოთა კავშირის პოლიტიკურ ხელმძღვანელობას გადაწყვეტილება მიეღო მომიტინგეთა ძალის გამოყენებით

დაშლის შესახებ. ცხადია დიდი სისხლისღვრა იყო მოსალოდნელი. ამჯერად მოსკოვმა დათმობა ამჯობინა“ (ვაჩნაძე და გურული. 2002. გვ. 164-165). იგივე ჩანაწერია 2006 წელს, იმავე ავტორების მიერ გამოქვეყნებულ სახელმძღვანელოში (ვაჩნაძე და გურული. 2006. გვ. 165). იგივე ავტორების მიერ 2005 წელს გამოქვეყნებულ სახელმ-ძღვანელოში დაკონკრეტებულია, რომ „ხელისუფლებამ[3] თბილისის ქუჩებში არმია და სამხედრო ტექნიკა გამოიყვანა. მზადდებოდა დიდი სისხლისღვრა. ტრაგედიის თავიდან აცილებაში დიდი წვლილი მიუძღვის საქართველოს მაშინდელ პოლიტიკურ ლი-დერს ედუარდ შევარდნაძეს, რომელმაც სსრ კავშირის პოლიტი-კური ხელმძღვანელობა დაარწმუნა დათმობის აუცილებლობაში“ (ვაჩნაძე და გურული. 2005. გვ. 134).

შევარდნაძე, როგორც მხოლოდ მოსკოვის საბოლოო გადაწყვეტილების გამხმოვანებელი თბილისში

ზემოთგანხილული სახელმძღვანელოებისაგან განსხვავებუ-ლადაა წარმოდგენილი 1978 წლის აპრილში შექმნილი ვითარება და შევარდნაძის როლი ფარნაოზ ლომაშვილის ავტორობით 2002 წელს გამოქვეყნებულ საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელო-ში. შევარდნაძე მხოლოდ გადაწყვეტილების გამხმოვანებელია მთავრობის სასახლის წინ შეკრებილი საზოგადოების წინაშე და არ-სადაა ნახსენები მისი მონაწილეობა ვითარების დასასტაბილურებ-ლად. აქვეა საკამათო ჩანაწერი დემონსტრაციის ხასიათის შესახებ. კერძოდ, ავტორი აღნიშნავს, რომ „მშობლიური ენის დასაცავად

[3] საინტერესოა რომ სახელმძღვანელოში არაა დაზუსტებული რომელმა „ხელისუფლებამ“ გამოიყვანა არმია თბილისის ქუჩებში - ცენ-ტრალურმა (მოსკოვმა) თუ ადგილობრივმა (თბილისმა), რამაც შესაძ-ლებელია დაბნეულობა გამოიწვიოს მოსწავლეებში - ერთი მხრივ ხე-ლისუფლებას არმია გამოჰყავს ქალაქის ქუჩებში და ამზადებს დიდ სისხლისღვრას, მეორე მხრივ კი იგივე ხელისუფლება (შევარდნაძე) დაპირისპირების თავიდან არიდებას ცდილობს.

მთელი ქართველი ერი ერთსულოვნად აღდგა. შეიქმნა მღელვარების შეიარაღებულ აჯანყებაში გადაზრდის საშიშროება. შექმნილ ვითარებაში საიმპერიო ცენტრი იძულებული გახდა უკან დაეხია და დათმობაზე წასულიყო. 14 აპრილს რუსთაველის პროსპექტზე მთავრობის სასახლის წინ თავმოყრილ ხალხს ედუარდ შევარდაძემ მოსკოვის „წყალობა“ მიულოცა“ (ლომაშვილი, 2002. გვ. 94.). გაუგებარია და არაა დაკონკრეტებული რას გულისხმობს ავტორი „შეიარაღებულ აჯანყებას“ როდესაც ახსენებს. ჩანაწერიდან ისე ჩანს, თითქოს ქუჩაში ქართული ენის დასაცავად გამოსული საზოგადოება აპირებდა შეიარაღებულ აჯანყებას. თუმცა უფრო სავარაუდოა, რომ გულისმობდა ხელისუფლების მხრიდან ძალის გამოყენების შესაძლებლობას და სახელმძღვანელოში სტილისტური ხარვეზია გამორჩენილი. აღნიშნული ჩანაწერი დაბნეულობას და გაუგებრობას იწვევს და სრულად ცვლის განვითარებული მოვლენების შინაარსს. აღსანიშნავია, რომ მოცემული სახელმძღვანელოს ყდაზე (წინა მხარეს) ილია ჭავჭავაძესთან, იოსებ სტალინთან და მიხეილ ვორონცოვთან ერთად სწორედ ედუარდ შევარდნაძეა გამოსახული.

დასკვნა

კვლევაში შესწავლილ სახელმძღვანელოებში ედუარდ შევარდნაძე ორი როლითაა წარმოდგენილი 1978 წლის აპრილში განვითარებული მოვლენების განხილვისას - ავტორები განსხვავებულად წარმოაჩენენ მის მონაწილეობას თბილისში მიმდინარე პროცესებში. სახელმძღვანელოთა ნაწილი შევარდნაძეს მთავარ როლს აკისრებს სისხლისღვრის თავიდან არიდებაში, მეორე ნაწილში კი ის უბრალოდ მოსკოვის გადაწყვეტილებას აცნობს მთავრობის სასახლის წინ შეკრებილ საზოგადოებას. აღსანიშნავია, რომ არცერთი სახელმძღვანელო არ აღწერს ვითარებას ზუსტად ისე, როგორც თავად შევარდნაძე გვიყვება საკუთარ მემუარებში; არსადაა აღნიშნული, რომ მან პირველმა მიაქცევინა ყურადღება საზოგადოების, განსაკუთრებით კი ინტელიგენციის წამომადგენლებს კონსტიტუციის

პროექტისათვის. პირიქით, სახელმძღვანელოთა ნაწილი აკაკი ბაქრაძეს ახსენებს ამ საკითხში მთავარი მოქმედ პირად.

კვლევით გამოიკვეთა, რომ შევარდნაძის, როგორც გაბედული, ტაქტიანი, მოქნილი ლიდერის იმიჯი არ იყო მხოლოდ საბჭოთა პერიოდის მოვლენა. დამოუკიდებელ საქართველოშიც სასკოლო სახელმძღვანელოებში შენარჩუნებული იყო აღნიშნული მიმართება საქართველოს ყოფილი კომუნისტი ლიდერის მიმართ; ამის უპირველესი გამოხატულება კი 1978 წლის აპრილში თბილისში განვითარებული მოვლენებია.

გამოყენებული ლიტერატურა

ახმეტელი, ნ. (2009). *საქართველოს ისტორია.* მე-9 კლასის სახელმძღვანელო. თბილისი. „დიოგენე“.

ახმეტელი, ნ. და მურღულია, ნ. (2008). მსოფლიოსა და საქართველოს ისტორია. მე-12 კლასის სახელმძღვანელო. თბილისი. „დიოგენე“.

ვაჩნაძე, მ. და გურული, ვ. (2002). *საქართველოს ისტორია (XIX-XX სს).* მეთერთმეტე კლასის სახელმძღვანელო, თბილისი. გამომცემლობა “არტანუჯი”.

ვაჩნაძე, მ. და გურული, ვ. (2005). *საქართველოს ისტორია (XIX საუკუნის დამდეგიდან XXI საუკუნის დამდეგამდე).* მეცხრე კლასის სახელმძღვანელო. თბილისი. გამომცემლობა “არტანუჯი”.

ვაჩნაძე, მ. და გურული, ვ. (2006). *საქართველოს ისტორია (XIX საუკუნის დამდეგიდან XXI საუკუნის დამდეგამდე).* მეთერთმეტე კლასის სახელმძღვანელო. თბილისი. გამომცემლობა “არტანუჯი”.

ლომაშვილი, ლ. (2002). საქართველოს ისტორია 1801-2001. მეთერთმეტე კლასის სახელმძღვანელო. თბილისი. ივერია.

შევარდნაძე, ე. (2018). *ფიქრი წარსულსა და მომავალზე.* თბილისი.

ქარცივაძე, მ. & ვაჭარაძე, ა. (14.04.2020). *1978 წლის 14 აპრილის მოვლენები და ამონარიდები დასავლური პრესიდან.* ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი. https://idfi.ge/ge/14_april

Tamar Orjonikidze

Reflection of the Soviet Period in Eduard Shevardnadze's Post-Soviet Image (April 14, 1978)

Abstract

Eduard Shevardnadze governed both Soviet and independent Georgia. Consequently, his activities in Georgia are evaluated in two ways, corresponding to his positions: Shevardnadze as the Minister of Internal Affairs and later the First Secretary of Soviet Georgia, and Shevardnadze as the President of post-Soviet Georgia.

In the modern era, Eduard Shevardnadze is primarily known for his presidency. However, many myths circulated about him as a communist ruler during the Soviet Union's existence, fueled by both his personal traits and the system itself-he was intended to be the face of a successful Soviet nation. The myths originating from that period are reinforced by several specific facts. These myths did not disappear after the dissolution of the Soviet Union and continue to exist in modern Georgia. One contributing factor to this is the history school textbooks published after the restoration of independence. As research has highlighted, these textbooks portray Shevardnadze as a bold, flexible, and tactful politician. To confirm this, one of the primary facts cited is the actions of the First Secretary of the Central Committee of the Communist Party of Georgia during the April 1978 demonstrations organized to protect the Georgian language.

The aim of this paper is to study the history school textbooks published after the restoration of independence, specifically those covering the events of April 1978 and Shevardnadze's role in them.

In the textbooks examined in this study, Eduard Shevardnadze is presented in two roles regarding the events of April 1978-authors portray his participation in the processes unfolding in Tbilisi differently. Some textbooks assign Shevardnadze the leading role in avoiding bloodshed, while in others, he simply informs the public gathered in front of the Government House of Moscow's decision.

Keywords: Eduard Shevardnadze; April 14, 1978; Leader’s image.